

საქართველოს ჩემპიონატი აღმართის დაძლევაში (2016 წელი)

ქვემოთ მოცემული წესებით რეგულირდება საქართველოს ჩემპიონატი აღმართის დაძლევაში, შეჯიბრში მონაწილეობა, რეგისტრაცია, შეფასება და უსაფრთხოების ნორმები. სპორტული ავტომობილის ტექნიკური ნორმები რეგულირდება ომლოგაციის ბარათის მიხედვით.

1. დასაშვები ავტომობილები

1.1 შეჯიბრში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა ავტომობილს რომელიც აკმაყოფილებს FIA-ს რეგლამენტის, დანართი J-ს მოთხოვნებს. ყველა მონაწილემ უნდა წარმოადგინოს FIA-ს ომლოგაციის ბარათი იმ ავტომობილისთვის, რომლითაც მონაწილეობს შეჯიბრში. ავტომობილის ყველა კვანძი უნდა პასუხობდეს ომლოგაციის მოთხოვნებს.

ჯგუფი N	სერიული მანქანები, მათ შორის - ჯგუფი R1.
ჯგუფი A	ტურინგის მანქანები, მათ შორის - WRC-ს მანქანები, სუპერ 1600 და ჯგუფები R2 და R3.
ჯგუფი S20	სუპერ 2000 (შერეული - წრიული და რალი), მათ შორის - ჯგუფები R4 და R5.
ჯგუფი GT	გრანდ ტურინგის მანქანები (შერეული - GT3 და RGT)

შეჯიბრზე შესაძლოა დაშვებულ იქნას ვადაგასული ომლოგაციის ჯგუფი A და ჯგუფი N -ის ავტომობილები. ასეთი ავტომობილების უსაფრთხოების კარკასი, ეკიპაჟის სავარძლები და ა.შ. უსაფრთხოების ყველა კვანძი უნდა იყოს მინიმუმ ყოფილი ჰომოლოგაციის მქონე და აკმაყოფილებდეს შეჯიბრის ტექნიკურ რეგლამენტს.

1.2 მანქანები დაყოფილნი იქნებიან შემდეგ კლასებად

კლასი 1500 (მონო)
კლასი BMW Compact
1600სმ³-მდე
1600სმ³-დან -2000სმ³-მდე
2000სმ³-დან-3000სმ³-მდე
3000სმ³-დან-3500სმ³-მდე
3500სმ³-დან-4000სმ³-მდე
4000სმ³ დან ზემოთ

1.3 თითოეული კლასი უნდა აკმაყოფილებდეს როგორც ტექნიკურ, ასევე უსაფრთხოების ნორმებს.

1.4 ნებისმიერი ავტომობილი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხოების ან ტექნიკურ მოთხოვნებს, არ დაიშვებიან შეჯიბრზე. ასევე არ დაიშვება ავტომობილი, რომლის კონსტრუქციასაც საფრთხის შემცველად ჩათვლიან ტექნიკური კომისრები.

1.5 დასაშვებია მხოლოდ დანართი J-ით გათვალისწინებული საწვავის გამოყენება.

1.6 კონკრეტულ კლასში ჩათვლას იღებს ის ავტომობილი, რომელიც ქარხნულად იწარმოებოდა არსებული ძრავის კუბატურით. ავტომობილი, რომელშიც არის არაქარხნული კუბატურის ძრავი, ჩათვლას იღებს მხოლოდ აბსოლუტურ კლასში.

1.7 ჩემპიონატის მსვლელობის დროს ფედერაციას აქვს უფლება ნებისმიერ დროს შეამოწმოს ნებისმიერი მონაწილის ავტომობილის ძრავი. შემოწმების დროს მრბოლელი ვალდებულია დაემორჩილოს ფედერაციის მოთხოვნას. ამ მოთხოვნაზე არ დამორჩილების შემთხვევაში მრბოლელს უუქმდება წლის განმავლობაში მიღწეული შედეგი და ჩამოერთმევა მრბოლელის ლიცენზია (დისკვალიფიკაცია).

1.8 ძრავის მოცულობა ითვლება შემდეგი ფორმულით:

$$V = 0.7854 \times B^2 \times S \times N$$

სადაც

V = ძრავის მოცულობა

B = ცილინდრის დიამეტრი

S = დეკუიმის სვლა (მანძილი ზედა მკვდარ და ქვედა მკვდარ წერტილს შორის)

N = ცილინდრების რაოდენობა

1.9 ტურბირებული ძრავის შემთხვევაში მოცულობის გამოთვლის კოეფიციენტი არის: ბენზინზე მომუშავე ძრავის შემთხვევაში 1.7, ხოლო დიზელზე მომუშავე ძრავის შემთხვევაში 1.5. მოცულობა (1.8 პუნქტში მოცემული) V მრავლდება კოეფიციენტზე და მიღებული ციფრი ასახავს ძრავის კუბატურას.

2. უსაფრთხოების აღჭურვილობა

(სსსფ იძლევა რეკომენდაციას, მომავალში გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ყველა მრბოლელმა, რომელსაც აქვს სურვილი, მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ჩემპიონატში აღმართის დამლევაში, ჩემპიონატის დაწყებამდე მოიყვანოს ავტომობილი ტექნიკურად მზადყოფნაში და წინასწარ, კონსულტაციის დონეზე გაიაროს დათვალიერება სსსფ-ს ტექნიკურ კომისიაში)

2.1 ეკიპაჟის აღჭურვილობა

2.1.1 მრბოლელს და შტურმანს რბოლის პროცესში აუცილებლად უნდა ეკეთათ სპორტული ღვედი, რომელიც ავტომობილში დამონტაჟებული იგნება FIA-ს მოთხოვნების შესაბამისად.

2.1.2 მრბოლელი და შტურმანი აღჭურვილნი უნდა იყვნენ ჩაფხუტით, ცეცხლგამძლე სპორტული კომბინიზონით, შიდა სამოსით, ნიღბით ან ბალაკლავით, სპორტული ხელთათმანებით და ფეხსაცმლით. ყველა აღნიშნული ნივთი უნდა იყოს ომოლოგირებული და უნდა შეესაბამებოდეს FIA-ს სტანდარტებს.

2.1.3 ავტომობილში დამაგრებული უნდა იყოს სპორტული ღვედის საჭრელი, რომლის გამოყენება, მძღოლსაც და შტურმანსაც, უნდა შეეძლოს ღვედის გაუხსნელად.

2.2 ცეცხლმაქრი

2.2.1 ავტომობილი აღჭურვილი უნდა იყოს ცეცხლმაქრით. იმ შემთხვევაში თუ ცეცხლმაქრის შიგთავსი წარმოდგენილია ფხვნილის სახით, მისი წონა უნდა იყოს არანაკლებ 3 კილოგრამი. იმ შემთხვევაში თუ ცეცხლმაქრის შიგთავსი წარმოდგენილია ქაფის სახით, მისი მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 3.5 ლიტრი.

2.2.2 ცეცხლმაქრი უნდა იყოს შესაბამის დონემდე დატენილი და მისი ფუნქციონირების ვადა არ უნდა იყოს ამოწურული.

2.2.3 ცეცხლმაქრი დამაგრებული უნდა იყოს ისეთ ადგილას, რომ მრბოლელის ან შტურმანისთვის ადვილი იყოს მისი გამოყენება.

2.2.4 ცეცხლმაქრი განთავსებული უნდა იყოს მანქანის წამყვანი ღერძის(ების) პარალელურად და დამაგრებული უნდა იყოს ისე, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი იყოს ყოველგვარი სხვა დამხმარე ინსტრუმენტის გარეშე.

2.3 გაყვანილობა

2.3.1 საწვავის, ზეთის და მუხრუჭის ხაზები მაქსიმალურად დაცული უნდა იყოს ყველა სახის შესაძლო დაზიანებისაგან და ხანძრისგან.

2.3.1 ელექტრო გაყვანილობის სადენები მაქსიმალურად დაცული უნდა იყოს ყველა სახის შესაძლო დაზიანებისაგან (მტვერი, წყალი, ქვები) და ხანძრისგან.

2.4 უსაფრთხოების კარკასი

2.4.1 უსაფრთხოების კარკასი, საერთაშორისო ფედერაციის ჰომოლოგაციის შესაბამისად, განკუთვნილი უნდა იყოს შესაბამისი მანქანის მოდელისთვის.

2.4.2. გამონაკლის შემთხვევაში დაიშვება საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის ეროვნული ომოლოგაციის მქონე უსაფრთხოების კარკასით აღჭურვილი სპორტული ავტომობილი (პილოტმა უნდა წარმოადგინოს ფედერაციის მიერ ლიცენზირებული დამამზადებლის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტაცია).

2.5 ელექტროობის გამთიშავი

2.5.1 ელექტროობის გამთიშმა სისტემამ უნდა გაწყვიტოს ყველა სახის ელექტრული წრედი, ძრავში საწვავის მიწოდების სისტემა და უნდა აჩერებდეს ძრავის მუშა პროცესს.

2.5.2 ელექტროობის გამთიში სისტემის გამშვები დამაგრებული უნდა იყოს მანქანის სალონში და სალონის გარეთ - ავტომობილზე.

2.5.3 სალონში ელექტროობის გამთიში სისტემის გამშვები დამაგრებული უნდა იყოს ისეთ ადგილას, რომ მძღოლს და შტურმანს ღვედის გაუხსნელად შეეძლოთ მისი გამოყენება.

2.5.4 სალონის გარეთ ელექტროობის გამთიში სისტემის გამშვები დამაგრებული უნდა იყოს საქარე მინის ქვედა ზონაში, აღნიშნული უნდა იყოს სპეციალური აღმნიშვნელით, უნდა იყოს იოლად შესამჩნევი და იოლად გამოსაყენებელი გარეშე პირისათვის.



2.6 უსაფრთხოების ბადეები

2.6.1 უსაფრთხოების ბადეები სავალდებულოა ავტომობილიში მჯდომი ყველა პირის (მძღოლის ან/და მტურმანის) მხარეს.

2.6.2. უსაფრთხოების ბადე უნდა მაგრდებოდეს უსაფრთხოების კარკასზე და არ უნდა იყოს კავშირში კართან.

2.6.3 ბადის ღვედის სიგანე უნდა იყოს არანაკლებ 19 მმ-ისა. ბადის ღვედებს შორის დაშორება უნდა იყოს არანაკლებ 25x25 მმ-ისა და არაუმეტეს 60x60 მმ-ისა.

2.7 ფანჯრები

2.7.1 მანქანის წინა საქარე და წინა გვერდითი ფანჯრები უნდა იყოს ლამინირებული მინა (ქარხნული წარმოების მინა დაფარული ფერადი ან უფერული ფირით, რომელიც არ მისცემს მინას გატეხვის შემთხვევაში ჩამოშლის საშუალებას).

2.7.2 მანქანის უკანა გვერდითი მინები შესაძლოა შეცვლილი იქნას ორგანული მინით.

2.7.3 დასაშვებია საქარე მინაზე მზისგან დამცავი ფირის გადაკვრა იმ შემთხვევაში თუ შიგნით მყოფ პირს თავისუფლად შეუძლია გარე არეალის (მანიშნებელი დროშების, შუქნიშნების, საგზაო ნიშნების და ა.შ.) დანახვა და თუ მისი შუქის გამტარიანობის დონე არ არის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მინიმუმზე ნაკლები და ასევე შესაძლებელი უნდა იყოს მანქანის სალონის დანახვა არანაკლებ 5 მეტრიდან.

2.7.4 ავტომობილის წინა გვერდითი კარის მინები მოძრაობაში უნდა მოდიოდეს ქარხნული წესით დამზადებული ამძრავი მექანიზმით.

2.8 მაჩვენებელთა პანელი

2.8.1 ავტომობილი, რომელიც მონაწილეობას იღებს შეჯიბრში აუცილებლად უნდა გააჩნდეს ქარხნული წარმოების მაჩვენებელთა დაფის ცენტრალური კონსოლი (ე.წ. „ტორპედო“).

2.8.2 შესაძლებელია უსაფრთხოების ბალიშების მოხსნა თუ ეს არ დაარღვევს მაჩვენებელთა დაფის ცენტრალური კონსოლის ერთიან ფორმას და დაფარვა სხვივს არა ამრეკლი მასალით.

2.9 „სალონის მოპირკეთება“

2.9.1 სპორტული ავტომობილის სალონში (იატაკზე, ჭერზე, გვერდებზე და ა.შ.) არსებული ხალიჩის ან მისი მაგვარი საფარი უნდა იყოს მთლიანად მოხსნილი.

2.9.2 სპორტული ავტომობილის სალონის ქარხნული მოპირკეთება (ჭერის, იატაკის, კარებების და ა.შ.) შესაძლოა შეცვლილი იქნას სხვა ძნელად ააღებადი მასალით.

2.10 აკუმულატორი

2.10.1 აკუმულატორი მყარად უნდა იყოს დამაგრებული და მაქსიმალურად დაცული უნდა იყოს ნებისმიერი სახის მექანიკური დაზიანებისაგან.

2.10.2 დასაშვებია აკუმულატორის სალონის უკანა ნაწილში გადატანა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის მყარად იქნება დამაგრებული და დახურული იქნება დამცავი კონსტრუქციით.

2.10.3 აკუმულატორის სამაგრი და დამცავი ხუფი დაფარული ან დამზადებული უნდა იყოს არა ელექტრო გამტარი და არააალეზაჰი მასალისაგან.

3. მონაწილეები და მრბოლელები

3.1 შეჯიბრში მონაწილეობის უფლება ეძლევათ მხოლოდ იმ პირებს, ვინც ფლობს როგორც მანქანის მართვის მოწმობას, ასევე მრბოლელის ეროვნულ (E ან F კატეგორია) ან საერთაშორისო (A, B, C, D, ან R კატეგორია) ლიცენზიებს.

3.2 მრბოლელის ლიცენზიის ვადა აქტიური უნდა იყოს მთელი ჩემპიონატის განმავლობაში

3.3 მრბოლელმა უნდა წარმოადგინოს ავტომობილის ტექნიკური პასპორტი, იმ ავტომობილის ომლოგაციის ბარათი რომლითაც მონაწილეობს რბოლაში და საკუთარი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

3.4 მრბოლელები დაიშვებიან მხოლოდ იმ ავტომობილებით, რომელიც რეგისტრირებულია და გააჩნია სახელმწიფო ნომერი ან რეგისტრირებულია საავტომობილო სპორტის ფედერაციაში როგორც სპორტული ბოლიდი და გაჩნია ფედერაციის მიერ გაცემული შესაბამისი მოწმობა (სპორტული ბოლიდის პასპორტი).

3.5 შეჯიბრში რეგისტრაციის გასავლელად მრბოლელს უნდა გააჩნდეს მონაწილის ეროვნული (Competitor N) ან საერთაშორისო (Competitor) ლიცენზია.

3.6 ეს საბუთები გაცემული უნდა იყოს სსსფ-ს ან სსფ-ს წევრი სხვა ქვეყნის ეროვნული სტატუსის მქონე ფედერაციის მიერ და ძალაში უნდა იყოს ჩემპიონატის გამართვის მთელი პერიოდის განმავლობაში.

4 ტექნიკური მოთხოვნები

4.1 წონა

4.1.1 მინიმალური წონა ტურინგის მანქანებისათვის (ჯგუფი A) ძრავის მოცულობის მიხედვით.

ძრავის მოცულობა	მინიმალური წონა
1400 სმ ³ -მდე	760 კგ
1400 სმ ³ -დან 1600 სმ ³ -მდე	850 კგ
1600 სმ ³ -დან 2000 სმ ³ -მდე	930 კგ
2000 სმ ³ -დან 3500 სმ ³ -მდე	1200 კგ
3500 სმ ³ -დან	1280 კგ

4.1.2 მინიმალური წონა N ჯგუფის მანქანებისათვის ძრავის მოცულობის მიხედვით.

ძრავის მოცულობა	მინიმალური წონა
1400 სმ ³ -მდე	790
1400 სმ ³ -დან 1600 სმ ³ -მდე	880

1600 სმ ³ -დან 2000 სმ ³ -მდე	960
2000 სმ ³ -დან 3500 სმ ³ -მდე	1230
3500 სმ ³ -დან	1350

4.1.3 სუპერ 1600-იანების მინიმალური წონა არის 1000 კილოგრამი.

4.2 საბურავი

4.2.1 ავტომობილის სვლით წინასწარ საბურავების გახურება აკრძალულია და აღნიშნული ქმედება დასჯილი იქნება სანქციებით, რომელიც მითითებული იქნება კონკრეტული რბოლის რეგლამენტში.

4.2.2. კონკრეტული კლასისთვის შესაძლებელია იყოს დამატებითი რეგულაცია საბურავთან დაკავშირებით, რომელიც გამოიყენება უშუალოდ ორგანიზატორის მიერ.

4.2.3. საბურავი უნდა ეყენოს ავტომობილს იმგვარად, რომ ზედხედიდან დაფარული იყოს ავტომობილის ძარით.

4.3 მაყუჩი და აირგამშვები სისტემა

4.3.1 გამონაბოლქვი აირები უნდა გამოდიოდეს მხოლოდ მაყუჩის დაბოლოებიდან.

4.3.2 მაყუჩი უნდა ბოლოვდებოდეს ავტომობილის ძარის გასწვრივ, შესაძლებელია შეწყველი იქნას მაქსიმუმ 10 სმ-ით.

4.3.3 მაყუჩი შესაძლებელია გამოყვანილი იყოს ავტომობილის გვერდით, ისე რომ მისი დაბოლოება განთავსებული იყოს მანქანის წინა და უკანა ღერძებს შორის არსებული მანძილის უკანა ნახევარში (წინა კარის შემდეგ).

4.4 ავტომობილის ძარა

4.4.1 ავტომობილის ძარას არ უნდა აკლდეს ქარხნული შემადგენელი ნაწილები. შესაძლებელია პლასტმასის დეკორატიული ნაწილების მოხსნა.

4.4.2 ავტომობილის ძარის ყველა აგრეგატი უნდა ასრულებდეს ქარხნულ დანიშნულებას. (ყველა კარი, ძრავის განყოფილების ხუფი და საბარგულის ხუფი უნდა იღებოდეს და იკეტებოდეს სხვა დამხმარე ხელსაწყოების გამოყენების გარეშე).

4 პარაგრაფში მოცემულია ავტომობილის რეალური წონა (1 სათადარიგო საბურავით, დომკრატის, ეკიპაჟის აღჭურვილობის და ყველა სხვა დამხმარე საშუალებების გარეშე)*

4.5 ტრანსმისია

4.5.1 დაუშვებელია ტრანსმისიის სისტემის ნებისმიერი სახის ტექნიკური ცვლილება. ტრანსმისია უნდა იყოს ქარხნული წესით დამზადებული.

4.5.2 ავტომობილს აუცილებლად უნდა გააჩნდეს უკანა სვლაში გადამრთველი სიჩქარე, რომელიც იქნება გამართულ მდგომარეობაში.

4.5.3. დაუშვებელია სავალი ნაწილის ცვლილება ისე, რომ საბურავი ცილდებოდეს ავტომობილის გარე კონტურს. დასაშვებია ავტომობილის გარე გაბარიტების ცვლილება განში მაქსიმუმ 10 სმ-ით (ჯამურად ორივე მხარეს) ისე, რომ ავტომობილის ფრთები ფარავდეს საბურავებს და იმეორებდეს ქარხნულ მოყვანილობას.

4.6 ბალასტი

4.6.1 ბალასტის (დამატებითი წონის) დამატების შემთხვევაში ის უნდა განთავსდეს სალონში, გამოსაჩენ ადგილას.

4.7.2 ბალასტი აუცილებლად დამაგრებული უნდა იყოს მყარად მანქანის ძირზე.

4.7.3 ჯგუფ N-ში და ჯგუფი A-ში წარმოდგენილ ავტომობილს უნდა გააჩნდეს როგორც მინიმუმ ქარხნული წესით ოთხი ადგილი.

4.7.4 აუცილებელია შეჯიბრში მონაწილე ავტომობილს გააჩნდეს ფარები, მოხვევის მაჩვენებლები, მუხრუჭის სანათები და სასიგნალო საყვირი მუშა მდგომარეობაში.

5. შეჯიბრი და ჯილდოები

5.1. სეზონის ბოლო რბოლის შემდეგ ვლინდება გამარჯვებული კლასების მიხედვით.

5.2. კლასი წლიურ ჩათვლას იღებს იმ შემთხვევაში, თუ წლის განმავლობაში აღნიშნული კლასში ჩატარდა რბოლების მინიმუმ 70%.

5.3. მრბოლელები, რომლებმაც სეზონის ჩათვლაში კლასკების მიხედვით დაიკავეს პირველი 3 (სამი) საპრიზო ადგილს დასახელებულ იქნებიან:

1 ადგილი - საქართველოს ჩემპიონი აღმართის დაძლევაში კონკრეტულ კლასში;

2 ადგილი - საქართველოს ჩემპიონატის აღმართის დაძლევაში კონკრეტულ კლასში მე-2 ადგილოსანი;

3 ადგილი - საქართველოს ჩემპიონატის აღმართის დაძლევაში კონკრეტულ კლასში მე-3 ადგილოსანი;

5.4. სსსფ-ს მიერ დაწესებული პრიზი (მედალი, თასი, დიპლომი, ფულადი პრიზი, პრიზი და ა.შ.) გადაეცემა მხოლოდ პილოტს, ეკიპაჟის სხვა წევრის (შტურმანის, კოპილოტის, ნავიგატორის და ა.შ.) არსებობის მიუხედავად.

5.5. პილოტის დამხმარე პირი (შტურმანი, კოპილოტი, ნავიგატორი და ა.შ.) დაჯილდოებისას მოიხსენიება, როგორც გამარჯვებული ეკიპაჟის წევრი.

5.6. იმ შემთხვევაში, თუ სტარტზე დად

6. შეჯიბრი, კლასიფიკაცია, ქულები

6.1 შეჯიბრი შედგება 1 (ერთი) ვარჯიშისგან და 3 (სამი) რბოლისგან.

6.2 კლასი შექმნილად და მოქმედად ითვლება თუ მასში რეგისტრირებულია, ტექნიკური კომისია გავლილი აქვს და სტარტი აიღო მინიმუმ 4 (ოთხი) ავტომობილმა.

6.3 იმ შემთხვევაში, თუ რბოლის სტარტი ვერ აიღო ავტომობილების 6.2 პუნქტში მითითებულმა მინიმალურმა რაოდენობამ, მონაწილეებს ეწერებათ დაკავებული პოზიციის შესაბამისი ქულების ნახევარი. (ვარჯიში არ ითვლება რბოლად).

6.4 შეჯიბრში ჩათვლის მისაღებად მრბოლელმა უნდა შეასრულოს რბოლების სტარტების 2/3 და ფინიშების 1/3.

6.5 შეჯიბრში შედეგები განისაზღვრება შემდეგი კლასიფიკაციების მიხედვით:

- ყველა ჯგუფში შემავალი მანქანების

ერთობლივი კლასიფიკაცია (აბსოლუტი);

- კლასიფიკაცია თითოეული ჯგუფისთვის

ცილინდრის მოცულობის მიხედვით (კონკრეტული კლასი);

6.6 თითოეულ კლასში, ქულები შემდეგნაირად გადანაწილდება:

I ადგილი:	25 ქულა
II ადგილი:	18 ქულა
III ადგილი:	15 ქულა
IV ადგილი:	12 ქულა
V ადგილი:	10 ქულა
VI ადგილი:	8 ქულა
VII ადგილი:	6 ქულა
VIII ადგილი:	4 ქულა
IX ადგილი:	2 ქულა
X ადგილი:	1 ქულა

6.7 რბოლის ბოლოს ერთნაირი შედეგის შემთხვევაში, თითოეული ადგილისთვის განკუთვნილი ქულები შეიკრიბება და გადანაწილდება თანაბრად.

6.8 ტექნიკური რეგულაციის დარღვევის შემთხვევაში მრბოლელს უუქმდება აღნიშნული შეჯიბრის შედეგი.

6.9 იმ შემთხვევაში, თუ საკონტროლო აწონვისას (შეჯიბრის დასრულებისას, სპეც მონაკვეთის დასრულებისას, შესვენების დროს და ა.შ.). მრბოლელს დაუფიქსირდა ავტომობილის წონის ნაკლებობა, იხსნება შეჯიბრიდან და უუქმდება აღნიშნული შეჯიბრის შედეგი.

6.10 იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილს ინციდენტის გამო აკლია რაიმე დეტალი, მომდევნო სპეც მონაკვეთის რბოლის სტარტამდე უნდა აღმოფხვრას დაზიანება. თუ ვერ აღუდგენს ავტომობილს პირვანდელ სახეს კომპლექტაციის (ავტომობილს არ უნდა აკლდეს ძარის გარე ნაწილები) თვალსაზრისით, მრბოლელის მიერ შეჯიბრის გაგრძელების საკითხს გადაწყვეტს შეჯიბრის კომისარი. ამ შემთხვევაში შეჯიბრიდან მოხსნილი მრბოლელი ინარჩუნებს შეჯიბრიდან მოხსნამდე არსებულ შედეგს.

6.11 იმ შემთხვევაში, თუ რბოლის დროს დაფიქსირდა მრბოლელის მიერ ავტომობილის წონის შეგნებულად შემცირება, საკითხს განიხილავს სსსფ და შესაძლებელია სასჯელად, ჩემპიონატში, არსებული მომენტისთვის მიღწეული ყველა შედეგი და ქულები იქნას გაუქმებული.

6.12 თუ ორ ან მეტ მრბოლელს, ადრ-ს საბოლოო ჩათვლაში, იდენტური ქულები დაურგოვდათ, ადგილები მათ შორის შემდეგნაირად გადანაწილდება:

- ჯგუფურ კლასიფიკაციაში დაკავებული ადგილების ხარისხის მიხედვით (საუკეთესო - პირველი, შემდეგ - მეორე და ა.შ.), იმ ტურნირებში, რომლებში დაგროვებულმა შედეგებმაც ქულათა საბოლოო ჯამი შეადგინა;
- ჯგუფურ კლასიფიკაციაში დამარცხებული მეტოქეების რაოდენობის მიხედვით, იმ ტურნირებში, რომლებში დაგროვებულმა შედეგებმაც ქულათა საბოლოო მარაგი შეადგინა.

თუ ამ საკითხების გათვალისწინების შემდეგაც ვერ დადგინდა საუკეთესოთა ვინაობა, სსსფ ერთპიროვნულად დაასახელებს მათ, იმ ნიუანსების გათვალისწინებით, რომლებსაც თავად ჩათვლის მისაღებად.

6.13 რბოლის დროს დაკავებული ადგილის მიხედვით ქულა ენიჭება მხოლოდ მრბოლელს.

7. პროტესტები

7.1 ნებისმიერი პროტესტის განცხადება ექვემდებარება სსსფ–ს სპორტული კოდექსისი მოთხოვნებს და თან ახლავს თანხობრივი შესატანი რომლის ოდენობაც განისაზღვრება ივენთის რეგლამენტით.

7.2 თუ პროტესტი ითვალისწინებს რამოდენიმე მოცემულ შეჯიბრში მონაწილე ავტომობილის ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისობის შემოწმებას, მაშინ პროტესტი უნდა განცხადდეს თვითოეული ავტომობილის საწინააღმდეგოდ ცალ–ცალკე ხოლო ფულადი შესატანის თანხა მრავლდება პროტესტს ქვეშ არსებული ავტომობილების რაოდენობაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც პროტესტისგ ანხილვისათვის საჭიროა ავტომობილის ნაწილის დათვალიერება ან მისი დაშლა, პროტესტის შემომტანმა ტექნიკური გირაოს სახით უნდა შემოიტანოს თანხა, რომელიც პროტესტის განსახილველად შემოტანილი თანხის ტოლფასია. პროტესტი არ ეიძლება შეტანილი იქნას ავტომობიკლზე სრულად. უნდა იქნეს მითითებული ავტომობილის ცალკეული პარამეტრები რომელთა შემოწმებაც განიხილება.

დამტკიცებულია

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის მიერ